Embassy of Japan in Georgia
7D, Krtsanisi Str. 0114, Tbilisi

1 მარტი, 2017

საქართველოში იაპონიის საელჩოს განცხადება

ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სახელის ცვლილების შესახებ ე.წ. „რეფერენდუმის“ ჩატარებასთან და აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან ე.წ. გამშვები პუნქტების დახურვასთან დაკავშირებით

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვით, იაპონიის საელჩო აქვეყნებს შემდგომ განცხადებას:

იაპონიის თანმიმდევრული პოზიციაა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა უნდა მოხდეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების შესაბამისად, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, რაც უმნიშვნელოვანესია საქართველოსა და სრულიად სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.

იაპონია გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით ე.წ. „რეფერენდუმის“ გამოცხადების ფაქტზე, რომელიც დაგეგმილია 9 აპრილს, ისევე როგორც აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან ე.წ. გამშვები პუნქტების დახურვასთან დაკავშირებით, რაც იწვევს ადამიანის უფლებების განსაკუთრებით მძიმე დარღვევას და კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოაღნიშნულ პოზიციას.

იაპონია და საქართველო ეწინააღმდეგებიან საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის შეცვლის ნებისმიერ მცდელობას.

ზემოხსენებული დებულებები თვალნათლივაა დადასტურებული იაპონიისა და საქართველოს 2014 წლის 24 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში „სოლიდარობა მშვიდობისა და დემოკრატიისთვის“.